პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 183 (20524) — ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

9 აგვისტოს კრემლში **ე. ა. პრიმაკოვის** თავმჯდომარეობით მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია.

დეპუტატები შეიხილნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხის განხილვას.

მოხსენება გააკეთა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **რ. ნ. ნიშანოვმა.**

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ი. ნ. შჩერბაკი, ნ. კ. კოზირევი, ვ. ი. სტადნიკი, ვ. დ. იუდინი, ი. ვ. სმოროდინი, ა. ი. გოლოვაკოი, ს. ვ. ხელეზნევი, ს. ს. სულაკშინი, ს. ბ. სტანკევიჩი, ვ. ი. პროკუშევი, ვ. ი. ნიკოლაიჩუკი** და სხვები. რომლებმაც სხვადასხვა თვალსაზრისი გამოთქვეს განსახილველ საკითხზე.

იღებენ გადაწყვეტილებას — დოკუმენტის პროექტი დახვეწონ შეტანამის კომიტეტისა და კომისიების ყველა დაინტერესებული დეპუტატის მონაწილეობით და გაეტანონ კენჭის საყრელად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სესია **რ. ნ. ნიშანოვის** თავმჯდომარეობით განიხილავს სსრ კავშირის კანონპროექტს „კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის წესის შესახებ“.

გაზსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ხ. ა. შალაევმა.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს, თქვა მან, თქვენს განსახილველად შემოაქვთ სსრ კავშირის კანონპროექტი ამ ცვლილებებთა და დამატებებითურთ, რომლებიც წამოაყენეს უმაღლესი საბჭოს მეოცე რიგი კომიტეტებისა და მისი პალატების კომისიების წარმომადგენლებმა. ასეთი კანონის მიღების საჭიროება თვით ცხოვრებამ და მრავალი კოლექტივის მოთხოვნებმა გვიკარნახა.

შრომითი კოლექტიური დავა და კონფლიქტები, თქვა ორატორმა, წინათაც ყოფილა, მაგრამ შარშანდელს აქვთ და განსაკუთრებით ეკონომიკურ ხასს ისინი სულ უფრო ხშირად იღებენ ხოლმე გაფიცვის ფორმას. მუშათა კლასის მიერ პროტესტის გამოხატვის ასეთ უკიდურეს ღონისძიებათა მიზეზი იყო და ჯერჯერობით კვლავ არის.

უწინარეს ყოვლისა, ეს არის საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოების საკითხთა გადაწყვეტის გაჭიანურება, მათი უსამართლო ეკონომიკური და იურიდიული უფლებრივობა, გამომუშავებული მოგების განკარგვის შეზღუდულობა. სხვა მიზეზებს შორის დაასახელეს შრომის ანაზღაურების მოქმედ დებულებათა უხეში დარღვევები, ნაკლოვანებანი, რომლებსაც უშვებენ სატარიფო განაკვეთებზე მუშათა გადაყვანისას, ხელფასის გაცემის დაგვიანება, სამუშაო დროისა და დასვენების დადგენილი რეჟიმების დარღვევები, არადამაკმაყოფილებელი შრომის პირობები, სოციალური სფეროს ხელმეშვეობა. ამ და სხვა საკითხებზე მიღებულ კოლექტიურ ხელშეკრულებათა და დარგობრივ შეთანხმებათა შეუსრულებლობა.

გაფიცვა შრომითი დავის გადაწყვეტის უკიდურესი და არასასურველი ღონისძიებაა. იგი უდიდეს ეკონომიკურ ზიანს აყენებს არა მარტო თვით შრომითს კოლექტივებს, რომლებიც სამეურნეო ანგარიშისა და. თვითდაფინანსების პირობებში მოქმედებენ, არამედ მთელ სახალხო მეურნეობას, მთელ ჩვენს საზოგადოებას.

და მაინც, საკავშირო პროფსაბჭო დარწმუნებულია, თქვა ორატორმა, რომ პროფკავშირულ კომიტეტს უნდა ჰქონდეს გაფიცვის გამოცხადების უფლება. ეს უნდა გაკეთდეს შრომითი კოლექტივის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ამ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაცია, მმართველობის ზემდგომი ორგანები არ ასრულებენ მიღწეულ მორიგებებს, შრომითი არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს ან არღვევენ დავის განხილვის პროცედურას, რომელიც ამ კანონით არის დადგენილი.

შემდეგ ს. ა. შალაევმა უპასუხა მრავალი დეპუტატის კითხვებს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს **ი. ბ. კალმეკოვს.** საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის პირველადი გარიანტი, თქვა მან სუსტი იყო და არ ითვალისწინებდა საერთაშორისო პრაქტიკას. არც ახლანდელი ვარიანტია სრულყოფილი, იგი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ პირველი წაკითხვის წესით და შემდეგ გამოვაქვეყნოთ შენიშვნების გათვალისწინებით, ვინაიდან საზოგადოებრივ ინტერესს იჩენს.

კანონპროექტს საფუძვლად დაედო შრომების პროცედურის იდეა, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის რეკომენდებული. ეს სწორი იდეაა, და დოკუმენტით გათვალისწინებული შრომების ინსტიტუტები უნდა მოვიწონოთ.

ორატორმა დეპუტატებს შესთავაზა კანონპროექტის მთელი რიგი შესწორებანი და დაზუსტებანი.

მოხსენების გამო კამათის გახსნისას გამოსულმა დეპუტატმა **ვ. ა. იარინმა** სესიის მონაწილეებს გადასცა დეპუტატ მუშათა ჯგუფის გადაწყვეტილება, რომლებმაც კანონპროექტი განიხილეს საგაფიცვო კომიტეტების მოსკოვში მყოფ წარმომადგენელთა თანდასწრებით. მათ მიაჩნიათ, რომ პირველი წაკითხვის შემდეგ დოკუმენტი უნდა დაიხვეწოს და გამოქვეყნდეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

დეპუტატმა **ს. ვ. ჩერვონოპასკიმ** ილაპარაკა საკითხზე, რომელიც განსახილველ კანონპროექტს არ ეხებოდა. იგი ეკრძოდ, შეიხო ავღანეთში ნაომარ სამხედრო ტყვეთა ბედს. ახლა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგად გაჩნდა მათი განთავისუფლების რეალური შესაძლებლობა. მაგრამ ამისათვის, რომ ყოფილ ტყვეებს სამშობლოში ჩამოესვლებოდეთ, განაცხადა დეპუტატმა, საჭიროა იურიდიული გარანტიები, რომ ამ პირებს არ მისცემენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავითარ საფუძველზე.

კანონი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, გაცილებით უფრო ადრე უნდა მიგვეღო, თქვა დეპუტატმა **ა. ვ. ვრიბმა.** გაფიცვები სერიოზული საქმეა და საჭიროა მათი რეგულირება მტკიცე სამართლებრივ საფუძველზე. ორატორის აზრით, მაღარილთა ბევრი მოთხოვნა არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათისაა. და ეს უნდა გავითვალისწინოთ კანონის ფორმირებისას.

სხდომის თავმჯდომარემ **ე. ვ. პრიმაკოვმა** სიტყვა მისცა დეპუტატ **ვ. ა. ოპოლინსკის,** რომელმაც სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ცოტა დრო ჰქონდათ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის დეტალური განხილვისათვის. ასეთი კანონი, ხაზი გაუსვა მან, ჩვენთვის აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ ქაოსი, მივცეთ ადმინისტრაციას შესაძლებლობა გადაწყვეტოს კონფლიქტური საკითხები.

კანონპროექტის აქტუალურობა და მნიშვნელობა აღნიშნა დეპუტატმა **ა. ი. ბარანოვმა.** შეეხო რა კანონის ცირსებებს, ორატორმა თქვა, რომ დოკუმენტი უთუოდ უნდა განიხილოს ქვეყნის შრომითს კოლექტივებში. პრობლემის აქტუალურობის მიუხედავად, აჩქარებამ აქ შეიძლება უარყოფითი როლი შეასრულოს. დეპუტატმა წინადადება წამოაყენა კანონის პროექტში გაითვალისწინონ ღონისძიებანი საწარმოების იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომელთა გულისთვის მშრომელნი იძულებულნი ხდებიან უკიდურესი ნაბიჯი გადადგან.

დეპუტატმა **ა. ვ. შამანინმა** მხარი დაუჭირა წინა ორატორის მოწოდებას მშრომელებისადმი. ჩვენ ჩვენი თავი უნდა შევიკავოთ უკიდურესი ღონისძიებებისაგან, ვინაიდან ამით ეკონომიკური პრობლემების კი არ გადაეჭრით, არამედ დაღუპვის პირას მივიყვანთ ქვეყანას, ხაზი გაუსვა მან. ორატორი შეეხო შრომითი კონფლიქტების წარმომშობ პრობლემებს, ილაპარაკა საწარმოთა ჭეშმარიტ დამოუკიდებლობაზე, თქვა, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები, პროფკავშირული ლიდერები უფრო ახლოს უნდა იყვნენ მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ ადამიანთა საჭიროებებთან.

ჩვენ სრულად არ ვითვალისწინებთ დემოკრატიზაციის იმ დონეს, რომელიც ახლა რეალურად ხორციელდება, განაცხადა დეპუტატმა **ა. ი. ჩაბანოვმა.** ამ თვალსაზრისთ თვით კანონპროექტი ბევრი დეპუტატის ქმნის იწვევს. ორატორის აზრით, სახელმწიფო საწარმოს კანონის შესაბამისად ჩამოესვლებოდეთ, განაცხადა დეპუტატმა, საჭიროა იურიდიული გარანტიები, რომ ამ პირებს არ მისცემენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავითარ საფუძველზე.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ, სანამ აშოქმედდებოდეს შრომითი კონფლიქტების კანონი, მიღებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება გაფიცვების, ქუჩის დემონსტრაციების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ხელს უშლიან გარდაქმნას ისმაცთვის, რომ ქალაქიც განვავითარონ ხალხის პოლიტიკური აქტიურობა.

ჩვენი სამართლებრივი სისტემისათვის უპრეცედენტო უწოდა კანონპროექტს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა **ვ. ი.

პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებს

საქართველოში შემუშავებული ეროვნული აღორძინების ფართო მასშტაბის პროგრამა სხვა ამოცანათა შორის ითვალისწინებს ხალხის ფიზიკურ განვითარებას. ამ პირობებში იზრდება ჯანმრთელობის დაცვის მშენებარე ობიექტების საექსპლოატაციოდ დროული გადაცემის მნიშვნელობა.

ახლა თბილისში შენდება 16 საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სამკურნალო ცენტრი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე გაანალიზეს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა, გამოავლინეს ცალკეული უბნების ჩამორჩენის მიზეზები, დასახეს მათი დაუყოვნებელი ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

თათბირზე გამოვიდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა.

რომელ ობიექტსაც კი შეეხნენ, იყო ეს საბავშვო საავადმყოფო თუ პოლიკლინიკა, ქირურგიული თუ სარეანიმაციო ცენტრი, სამშენებლო კონვეიერის შეფერხების მიზეზად ასახელებდნენ მხოლოდ ერთ რამეს, საშენი მასალების ნაკლებობას, მათ არარიტმულ მიწოდებას.

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა ტუბერკულოზის რესპუბლიკური საავადმყოფოს აგებასთან დაკავშირებით. მშენებლობა არ არის დაკომპლექტებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, რადიატორებით, სადურგლო ნაწარმით. უკეთესი სიტუაცია არ არის არც თბილისის № 1 საქალაქო საავადმყოფოს ქირურგიული ბლოკის მშენებლობაზეც. დღეისათვის აქ შესრულებულია სამუშაოთა წლიური მოცულობის მხოლოდ 17 პროცენტი.

ყველაზე ხშირია ცემენტის ნაკლებობის გამო მუშებისა და მოწყობილობის მოცდენის შემთხვევები. მაგალითად, რესპუბლიკური საბავშვო საავადმყოფოსა და ვარკეთილის პოლიკლინიკის მწყობრში ჩაგდმის დასაჩქარებლად საჭიროა ყოველდღიურად სამშენებლო მოედანს მიაწოდონ შესაბამისად 14 და 20 ტონა ცემენტი, ის კი გაცილებით ნაკლებს იღებს. ეს საკითხი, ისევი როგორც მრავალი სხვა, თითბირზე გადაწყდა და მოიხსნა დღის წესრიგიდან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ეს მშენებლობები პრიორიტეტულად მიაჩნია.

თათბირმა მოითხოვა, რომ თითოეულმა სამშენებლო კოლექტივმა იქონიოს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე სამუშაოთა ზუსტი გეგმა-გრაფიკი. პასუხისმგებლობა მისი შესრულებისათვის უნდა დაეკისროს როგორც მშენებლობის სფეროს კონკრეტულ ხელმძღვანელს, ისე ადგილობრივ საბჭოებს. ობიექტების ასეთი პერსონალური „მიმაგრება“ ხელს შეუწყობს მიმდინარე საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას, გააძლიერებს პასუხისმგებლობას კონკრეტული ვითარებისათვის.

განიხილეს აგრეთვე დარგის ფინანსური მდგომარეობა. იგი უწინდებურად მძიმეა. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე რესპუბლიკის გადასვლის პირობებში, შემდგომში კი ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევასთან დაკავშირებით, ასეთი არასასიკეთო სიტუაცია მძიმე ტვირთად დაიწვება რესპუბლიკის მთელ სახალხო სამეურნეო კომპლექსს. ამიტომ საჭიროა განხორციელდეს საგანგებო ღონისძიებანი ფინანსური კრიზისიდან დარგის გამოსაყვანად.

(საქინფორმი).

ქამი ქმედებისა

ვისთვისაც ქვირფასია საქართველო

დიდხანს ვფიქრობდი ამ წერილის შესახებ. განვიცდიდი, არ ჩამთვალონ-მეთქი თავის გამოჩენის, ანდა სხვისთვის ჭკუის სწავლების მცდელობად. ეჭვი ახლაც არ მასვენებს, მაგრამ ის სიტუაცია, რომელშიც ყოველდღიურად მიხდება მუშაობა, მოსვენებას არ მაძლევს. მწარედ მაფიქრებს ჩემი ერის მომავალი და, როგორც რიგით ქართველს, უფლება არ მაქვს გავჩუმდე, არ მოგიწოდოთ ყველას ერთობისაკენ.

ვხედავთ, რომ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ერთობ დაიძაბა, რასაც აფხაზეთისა და ქვემო ქართლის რეგიონალურ პრობლემებთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მთლიანად ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობა.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის გარდაქმნისათვის დაწყებულმა მოძრაობამ, რომელიც დემოკრატიზაციის გაფართოებისა და საჯაროობის გაღრმავების ნიშნით მიმდინარეობს, ბელსაყრელი წანამძღვრები შექმნა რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მისაღწევად. ამასთან გაჩნდა იმის საშიშროებაც, რომ მისი განხორციელების გზების შეუთანხმებლობის გამო შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაეშვათ. როცა ერისთვის ისტორიული სამსახურის გაწევის უდიდესი შანსი გაგვიჩნდა, თავი ინა, ეტყობა, თითოეული ჩვენთაგანში ჩაბუდებულმა მოუთმენლობისა და უსაგნოდ პირველობის დაჩქმების ნაკლმა. გამოდის, რომ არა თუ ისტორიის ქველმა გაკვეთილებმა, არამედ ჩვენი საუკუნის ოციანმა წლებმაც ვერაფერი გვასწავლეს. იმ პერიოდის პოლიტიკური მოღვაწეების რეაბილიტაცია ხომ ამავე დროს მათი შეუთანხმებლობის გამო ერის წინაშე დაშვებული უხეში შეცდომების გამომზეურებაც არის. დღეს ოგრაფიული მდებარეობის, ეროვნული შემადგენლობისა და ხასიათის, პოლიტიკური სიმწიფის, წარმოების კულტურის დონისა და, რაც მთავარია, მომავალში წარმოებით ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით იმდენად რთულ და უჩვეულო ვითარებაში ვიმყოფებით, რომ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტისათვის ცნობილი გზები ნაკლებად გამოგვადგება. ჩვენთვის გამოსადეგი გზის ძიებას კი ყველას აზრის გათვალისწინება, ერთობლივი დასკვნების გაკეთება და მისი ცხოვრებაში განსახორციელებლად არნახული მოთმინება და მეცადინეობა დასჭირდება.

დროა, ყველა, მიუხედავად ჩვენი საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსისა, უცილობლად ყველა, როგორც თანატოლი და თანაბარი, დავსხდეთ მრგვალი მაგიდის გარშემო და შევიმუშაოთ ერის ხამომავლო გზა. როგორც იტყვიან, მოელმა დუნიამ გაიგოს, ვინ რით სუნთქავს, ვინ რა გზას ადგა და დაადგა, ვის აღმოაჩნდა კეთილგონიერი კომპრომისის უნარი. დაე ერმა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეაფასოს თითოეული ჩვენთაგანის ზრახვები და მოქმედება, ამაამადაც და მომავალშიც.

დრო არ ითმენს. ჩვენი შეუთანხმებლობით საზოგადოება დაშრა. პოლიტიკური კატაკლიზმის, ფიზიკური მსხვერპლის შემდეგ გულზე ხელის ბრაგუნი არ გამოგვადგება, რადგან თუ კიდევ შეცდომა მოგვივიდა, მკერდიც ხაბოლოოდ განგმირული გვექნება.

ყველას კეთილგონიერების იმედი მაქვს. მჯერა, რომ თითოეული ჩვენთაგანი დავიოკებთ ემოციებს, არ აღვაზვიავთ უარყოფით ტენდენციებს.

ამიტომაც გავბედე ერისათვის უალრესად ძნელ და რთულ სიტუაციაში ამ წერილის დაწერა და მას კადნიერებად ნუ ჩამითვლით.

თამაზ კუნჭულია,
საქართველოს კომპარტიის ოზურგეთის რაიკომის პირველი მდივანი.

⊙ „კომუნისტის“ ამ ახალი რუბრიკის მიზანია პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების, რიგითი კომუნისტებისა და მშრომელების მოსაზრებანი გავაცნოთ მკითხველს თანამედროვე რთულ და არაორდინალურ ვითარებაში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფის, დროის წინაშე თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებზე. ვფიქრობთ, ასეთი საუბარი განსაკუთრებით საჭიროა დღეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შრომითი კოლექტივების

მიმართვა

რესპუბლიკის მშრომელებისადმი

ძვირფასნო ამხანაგებო!

ფულისტაცვილით აღვიქვამთ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, რომლებმაც უკანასკნელ პერიოდში გამოიწვია საზოგადოებრივი ცხოვრების და სახალხო მეურნეობის მუშაობის დესტაბილიზაცია, შექმნილი შედგომარეობა უაღრესად მძიმე გავლენას ახდენს რესპუბლიკის მშრომელთა სულიერ მდგომარეობაზე, უკარგავს მათ მშვიდობიანი შრომის და ცხოვრების საშუალებას.

ცალკეულ საწარმოებში გაფიცვების მოწყობის მცდელობა, შეფერხებები ენერგომომარაგებასა და ტრანსპორტის მუშაობაში, მომსახურების სფეროს, სხვა დარგებში შეუძლებელს ხდის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნორმალურ ფუნქციონირებას.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში უკანასკნელი პერიოდის მოვლენების შედეგად, მარტო ივლისში სახალხო მომხმარების საქონლის წარმოებაში მოცდენებისაგან დანაკარგებმა შეადგინა 15 მილიონ მანეთზე მეტი, რაც მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ისედაც გამწვავებული დეფიციტის პირობებში დააკლდა რესპუბლიკის მოსახლეობას. ეს დანაკარგები უშუალოდ გავლენას ახდენს თვით საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე — მცირდება თითოეული შრომელის ოჯახის შემოსავალი, კოლექტივებს სოციალური განვითარების შესაძლებლობები. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში აღნიშნული მოვლენების შედეგად მოგების დანაკარგებმა შეადგინა 5 მილიონ მანეთზე მეტი.

დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა იღვწის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, უპირატესი მნიშვნელობა სწორედ მოგების ზრდას და მყარი ფინანსური მდგომარეობის შექმნას ენიჭება. არსებული მდგომარეობა კი უაღრესად ართულებს რესპუბლიკის ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და ხელს უშლის დასახული მიზნის მიღწევას.

მოგების გეგმების შეუსრულებლობის გამო იკარგება რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლები, ასევე იზრდება საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური დავალიანებები, რაც სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საწარმოთა, თვით შრომითი კოლექტივების ყოფნა-არყოფნის საკითხს აყენებს აქედგომარეობაზე. ... ...

„შალომ“ ჩვენს ძმობას

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ დღეს საქართველოს, საინფორმაციო საშუალებები გაცილებით მეტ დროსა და ადგილს უთმობენ ქართველთა და ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ამსახველ მასალებს, ვიდრე ოდესმე. მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ქართული პრესა, ტელევიზია თუ რადიო ჯერ კიდევ ვალში არიან ამ თემის წინაშე. რამდენი რამ არ ვიცით, ან ვიცით მხოლოდ ყურმოგრეულად; ბევრ საკითხზე ზოგჯერ ზერელე, ხანაც მეცდარი წარმოდგენა აქვს მკითხველ-მსმენელთა ერთ ნაწილს. ამიტომ სასურველად მიმაჩნია, ქართულ პერიოდიკასა და სპეციალურ ლიტერატურაში, ტელე-რადიოგადაცემებში უფრო მეტად და ღრმად გაშუქდეს ჩვენი ძმობის ფესვები, ქართველ ებრაელთა ისტორიის საკითხები. ასევე ცოტა რამ ვიცით ისრაელში მოღვაწე ქართველ ებრაელებზე, მათ საქმიანობაზე. ბუნებრივია, ამის მიზეზი ის არის, რომ ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან ჩვენი კონტაქტები ჯერ კიდევ ვერ არის ორგანიზებული, მხოლოდ კერძო ინიციატივითა და ცალკეული შეხვედრებით შემოიფარგლება. დღემდე ვერ მოხერხდა აგრეთვე ისრაელში გამომავალი ქართული ჟურნალ-გაზეთების სისტემატური მოწოდება საქართველოში, ქართული პრესისა კი ისრაელში.

ამას წინათ ვნახე, გია ბადრიძის და ომარ გვასალიას სატელევიზიო ფილმი „26 საუკუნე და...“ როგორ უჭირთ ქართული სიტყვა ისრაელში 70-იან წლებში წასულ ქართველ ებრაელთა შვილებს! კიდევ უფრო მეტად იმათ, ვინც ჯერ დაიბადა, იმათაც, ვინც ჩვენ ასაკში დადგა ფეხი აღთქმულ ქვეყნის მიწაზე...

გულმა რეჩხი მიყო: ვაითუ, ოცდაექვსი საუკუნის მანძილზე ეშმობლიურივით შენივთებული ენა — ქართული უცხოდ იქცეს ქართველ ებრაელთა შთამომავლობისთვის?

ეტყობა, ამგვარი ფიქრი იქაც აწუხებთ, რადგან ისრაელ-საქართველოს კულტურული და მეგობრული ურთიერთობის საზოგადოება „ხიდის“ ამავე სახელწოდების გაზეთში გაჩნდა განცხადება-მოწოდება: „შევასწავლოთ ქართული ენა ჩვენს მომავალ თაობას“... იქვე კლიშირებულია „გადაშლილი წიგნი-ენა“. ამ განცხადებაში ვკითხულობთ: „... საზოგადოება „ხიდის“ ხელმძღვანელობით ისრაელის ქალაქებისა და რაიონების ქართველ ებრაელთა დასახლებებში შეიქმნება ქართული ენისა და წერა-კითხვის შესასწავლელი წრეები... ამ წრეების მიზანია ჩვენმა მომავალმა თაობამ მშობლიურ ივრითულ ენასთან ერთად იცოდეს თავისი წინაპრების ენის — ქართულის წერა-კითხვაც“. ეს იმის ნიშნავს, რომ ისრაელში გააგრძელებს სიცოცხლეს ქართული ფენომენი. ამის თავდებია ისიც, რომ ისრაელში წასულმა ქართველმა ებრაელებმა საქართველოსა და ისრაელს შორის კულტურულ-მეგობრული თანამშრომლობის რამდენიმე საზოგადოება („რუსთაველი“, „გზა“, „ხიდი“) შექმნეს, ისინი ქართულ ენაზე უშვებენ 10-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთებს, ჩამოყალიბებული აქვთ ქართული თეატრალური დასი, ქართული სამოდერებლის გუნდები, ქორეოგრაფიული ანსამბლები... მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველების და ქართველი ებრაელების ტრადიციული ურთიერთობის შუამავალი მომავალ საუკუნეებში ქართული ენა იქნება!

მაგრამ ის, რაც სამძო ურთიერთობის საგზლად მოგვცა ოცდაექვსსაუკუნოვანმა ერთობლივმა ისტორიამ, განმტკიცებასა და განვითარებას ითხოვს.

ამ თვალსაზრისით ბევრ საყურადღებო მომენტზე შეიძლებოდა შეგვეჩერებინა ყურადღება:

კარგა ხანია დაისვა საკითხი („კომუნისტი“ — 26. 09. 88 წ., „სამშობლო“ №6, 89 წ., „ქუთაისი“ — 20.IV. 89 წ.) დაარსებულიყო „ქართველთა და ქართველ ებრაელთა საუკუნოვანი ძმური კავშირებისა და საქართველო-ისრაელის მეგობრული კონტაქტების ხელშემწყობი საზოგადოება“. ამ იდეას გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ საქმე მაინც არ იძვრის წინ. გვესმის, რომ ჩვენთან ფუნქციონირებს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოება. იგი ბევრ საქველმოქმედო საქმეს აბამს თავს და კარგადაც. მაგრამ ხომ არ არის გასათვალისწინებელი, რომ ისრაელში სამი საზოგადოება მოქმედებს, რომელთა ძირითადი და პირდაპირი მიზანი საქართველოსთან კულტურული თანამშრომლობაა? სასურველად ვთვლი, ჩვენც გადაგვედგა ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯი, შეგვექმნა მსგავსი საზოგადოება (თუნდაც უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების სექცია), რომელიც ანალოგიურ საქმიანობას იკისრებდა. ალბათ, სიმბოლური იქნებოდა ისიც, თუ ამ საზოგადოებას რუსთაველის პრემიის ლაურეატს ბორის გაპონოვის სახელს მივანიჭებდით.

ვფიქრობ, აქტიურად უნდა შეეუწყოთ ხელი იმ იდეის ხორციშესხმასაც, რომ დაწესდეს ბორის გაპონოვის სახელობის მედალი. ეს იქნებოდა კიდევ ერთი აღიარება ამ დიდი ღვაწლისა, რომელიც გაპონოვმა დამდო ქართულ კულტურას შოთას უკვდავი პოემის ივრითზე თარგმნით. ამ მედლით აღინიშნებოდა ის ნაწარმოებები, რომლებიც გამორჩეულ როლს შეასრულებენ ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა განმტკიცებაში.

ქუთაურებს გვეამაყება, რომ ბორის გაპონოვის ცხოვრება ბავშვობიდანვე ამ ქალაქთან იყო დაკავშირებული, აქვე დაიბადა „ვეფხისტყაოსნის“ მისეული კოდი აქვს, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც.

ბ. გაპონოვისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭება და ქუჩისათვის მისი სახელისდება, მემორიალური დაფების გაკეთება ქართველმა ებრაელებმა მასთან ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ძმობის ნიშნად აღიქვა. არ ვეჭარბებ, თვითმხილველი ვარ და მინდა მოვთქვა საქართველოს ებრაელებმა იცოდეს, რომ ამ კეთილმა აქციებმა ერთიანად შეძრა ქართველ ებრაელთა გული და გონება, სიხარულის ცრემლი მოკვარა და ჩვენდამი სიყვარული გაუორკეცა. ი, სიკეთის ძალა! ხოლო ქართველი ებრაელებისადმი გიდეული არც ერთი სიკეთე არ დაკარგვია ქართველ ხალხს. ეს დაადასტურა წარსულმა, ამას დასტურებს დღევანდელობა. ქართველი ებრაელების ღირსეული საუკუნოვანი თანაცხოვრება ჩვენთან, მათი თვალსაჩინო მოღვაწეობა ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში თუ სხვა ქვეყნებში ამის უტყუარი საბუთია. ორ დროში ერთმანეთისაგან დაცილებულ ფაქტს გავიხსენებდი სახელდახელოდ.

ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში, ჩვენი საუკუნის დამდეგს მოღვაწე იაკობ სეფიაშვილმა ითავა სოფლისათვის მეზობელი მთიდან წყაროს გამოყვანა. ეს წყარო დღესაც მოქმედებს და ოქრონიშის წყაროს ეძახიან. იაკობ სეფიაშვილისავე თაოსნობით და ნგენიალური თარგმანი. გული კი გვეთანაღრება, რომ ერთობ გვიან დაფაზდა ამ დიდებული მთარგმნელის ღვაწლი.

ახლახან, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ბორის გაპონოვის სახელი მიენიჭა, ხალხი იმ სახლს, სადაც ცხოვრობდა და „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა, შემორიალური დაფები გაუკეთდება. გათვალისწინებულია, რომ ეს ღონისძიება საბალხო დღესასწაულით აღინიშნოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეცნიერები, მწერლები, კინემატოგრაფისტები, თეატრალური მოღვაწეები. მრავალთასიან ქუთაისელ ქართველ ებრაელობას (და არა მარტო მათ) დიდი იმედი აქვს, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც.

ბ. გაპონოვისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭება და ქუჩისათვის მისი სახელისდება, მემორიალური დაფების გაკეთება ქართველმა ებრაელებმა მასთან ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ძმობის ნიშნად აღიქვა. არ ვეჭარბებ, თვითმხილველი ვარ და მინდა მოვთქვა საქართველოს ებრაელებმა იცოდეს, რომ ამ კეთილმა აქციებმა ერთიანად შეძრა ქართველ ებრაელთა გული და გონება, სიხარულის ცრემლი მოკვარა და ჩვენდამი სიყვარული გაუორკეცა. ი, სიკეთის ძალა! ხოლო ქართველი ებრაელებისადმი გიდეული არც ერთი სიკეთე არ დაკარგვია ქართველ ხალხს. ეს დაადასტურა წარსულმა, ამას დასტურებს დღევანდელობა. ქართველი ებრაელების ღირსეული საუკუნოვანი თანაცხოვრება ჩვენთან, მათი თვალსაჩინო მოღვაწეობა ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში თუ სხვა ქვეყნებში ამის უტყუარი საბუთია. ორ დროში ერთმანეთისაგან დაცილებულ ფაქტს გავიხსენებდი სახელდახელოდ.

ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში, ჩვენი საუკუნის დამდეგს მოღვაწე იაკობ სეფიაშვილმა ითავა სოფლისათვის მეზობელი მთიდან წყაროს გამოყვანა. ეს წყარო დღესაც მოქმედებს და ოქრონიშის წყაროს ეძახიან. იაკობ სეფიაშვილისავე თაოსნობით და ნი ქუტი. იგი გენებში კოდირებული ქართული ფენომენის მადლია, რომელსაც დიდად უფრთხილდება კეთილმორწმუნე ებრაელი. განა ამის კიდევ ერთი უტყუარი დასტური არ იყო 29 ივნისს სატელევიზიო გადაცემა, როცა გაზეთის „ალია საქართველოდან“ გამომცემელმა აბრამ სეფიაშვილმა და მისმა კოლეგებმა ცნობილ ქართველ პოეტთან რეზო ამაშუკელთან და ტელემაყურებლებთან საუბარში სიყვარულის ცრემლია-ნი ტუტყვები შეგვაგებეს? მრავალსაუკუნოვანი სულიერი ერთიანობა თუ გახარჯავს ადამიანს ამგვარად!

სწორედ ამ ნიშნით და ამის გათვალისწინებით მინდოდა შემეხედა იმ საფიქრალისთვისაც, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს რომ დაგროვებიათ დღეს.

ალბათ მიკერძოებად არავინ ჩამომართმევს, თუ ვიტყვი, რომ ქუთაისში თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები, მაგრამ მის წოდაღში დაბადებული და აღზრდილი ქართველი ებრაელები, ყოველთვის იყვნენ და არიან ტონის მიმცემნი ქართველ ებრაელთა საზოგადოებისათვის. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია. საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ნახევარზე მეტი დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა. ახლაც ასეა. ყველაზე მეტი ქართველი ებრაელი (ხუთი ათასზე მეტი) ქუთაისშია. ამ სინამდვილის ფონზე მინდოდა ერთი საკითხი

წამომეწია: დღეს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში ქართველ ებრაელობას ორი სახელოვანი წარმომადგენელი ჰყავს, ორივე წარმოშობით ქუთათურია, და თბილისში ცხოვრობს. მალე დაიწყება რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საარჩევნო კამპანია. მე არ ვიცი, საქართველოს საზოგადოებრიობა როგორ, რა რაოდენობით განსაზღვრავს ებრაელთა მანდატს თავისი სახალხო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, მაგრამ ის კი აუცილებლობად მესახება, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს მეცეთი შესაძლებლობა, წარმოაჩინონ თავიანთი კანდიდატურები რესპუბლიკის პარლამენტში საარჩევნო. დღევანდელი საარჩევნო სისტემა ქმნის ამის რეალურ შესაძლებლობას და, ალბათ, რესპუბლიკისა და ქუთაისის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით, განხორციელდება კიდეც. რა თქმა უნდა, ქართველ ებრაელთა, ასე ვთქვათ, ეს რეგიონალური დეპუტატი, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც უშუალოდ ქართველ ებრაელობასთან ჩვენი საუკუნოვანი მეგობრობის კიდევ უფრო ახალ სიმაღლეზე აყვანასთან იქნება დაკავშირებული, თავის მთავარ საზრუნავ საკითხად ტრადიციულად და საზოგადოდ საქართველოს, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ძლიერების ხელშეწყობას გაიხდის. დასავლეთ საქართველოს ებრაელობა ანგარიშგასაწევი ძალაა, რომლის დაუნაზობა შეცდომა იქნებოდა.

საქართველოში დღეს აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ძველთა დაცვისა და რესტავრაციისათვის. რამდენი გაუქმებული, მოუვლელობით დანგრეული ისტორიული ძეგლი აღდგა, მათ შორის — საკულტო ნაგებობები! წარსულისადმი ასეთი კეთილშობილური დამოკიდებულების შედეგია ისიც, რომ დაწყებულია ებრაელთა საკულტო შენობის — სინაგოგის აღდგენითი სამუშაოები სუჯუნაში. ასეთივე ზრუნვას ელოდება ებრაული სინაგოგები ლაილაშში, ბანძაში თუ საქართველოს სხვა სოფლებსა და ქალაქებში. აქედან ისტორიულ სამშობლოში წასულებმა ჩვენს იმედად დატოვეს ახლობელ თანამდროვეთა და წინაპართა საძველე საფლავები. მადლი ღმერთს, რომ ჩვენი გულითადობა არ აკლია არც სინაგოგებს და არც საფლავებს. არ შეეგვლოთო, გვიძღვიროთ კიდევ თანამომძეთა წინაპრებისა და მათი შემოქმედებისადმი სათუთი დამოკიდებულება ისე, როგორაც ჩვენი მეგობარი ქართველი ებრაელები იჩენენ ჯერის მონაცემებს, შოთასა და თამარის პირობითი საფლავებისადმი.

დღეს აქტიურად გაიმის ქართველთა სურვილი, რომ თბილისისა და ქუთაისის სკოლებში, რამდენიმე კლასში, შემოვიღოთ ივრითის შესწავლა.

რამდენადაც 29 ივნისის სატელევიზიო გადაცემიდან შევიტყვე, იქაც, ისრაელშიც ჯერ არ ხორცშესხმულა ქართული ენის შემსწავლელი წრეების გახსნის იდეა. იქაც დიდი ხანია ხმაინობს ეს კეთილშობილური სურვილი.

დრო არ შემოგვეხარჯოს, მეგობრებო! პირველი სექტემბერიც მალე დადგება! სახვალიოდ ნუღარ გადავდებთ სადღეისო საქმეს!

და ბოლოს, ორი, თითქმის ერთმანეთად დაკავშირებული საკითხის შესახებ:

გაზეთმა „ქუთაისმა“ წლეულს, 20 აპრილის ნომერში, გაგვანდო თანამოქალაქენ ებრაელთა სურვილი — „ერთად მოვიძებოთ ის გზა, რომელიც შეგვაძლებინებს დავაძმობილოთ ქუთაისი აშდოდთან — ისრაელის იმ ქალაქთან, სადაც დღეს ყველაზე მეტი ყოფილი ქუთაისელი ებრაელი ცხოვრობს“.

აქტიურად გასათვალისწინებელ და გადასაწყვეტ საკითხად მეჩვენება.

ამქამად საქართველოში მცხოვრებ და აქედან ისრაელში გადასახლებულ ქართველ ებრაელებს ხშირი მიმოსვლა აქვთ ერთმანეთთან. ამ მიწის მონატრება ნოსტალგიად ადევნებია აღთქმულ ქვეყანაში წასულებს. დღეს ეს კონტაქტები ტექნიკურად, საჰაერო მიმოსვლით, მოსკოვიდან ხორციელდება. იქნებ მოვაგვაროთ ის კეთილი საქმეც, რომ დამყარდეს პირდაპირი საჰაერო კავშირი ისრაელთან უშუალოდ საქართველოს დედაქალაქიდან?

ამ ცოტა ხნის წინათ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში (პირველად ქალაქში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე) მოეწყო შეხვედრა ქართველ ებრაელთა წარმომადგენლებთან. მადლიერების დიდი ვრონზები გამოთქვეს ებრაელმა თანამოქალაქეებმა ქართველთა მიმართ, დიდი თანადგომისა და ძმური ურთიერთობისა გამო. იმ თაოსნობათა შესახებაც ითქვა, რომელთა ავტორი ქუთაისელი მეცნიერი ილია გაგულაშვილია და ამ წერილშიც ამ ეს ფენომენი ასე თუ ისე ჩამოყალიბდა. აღუთქვეს კიდევ მათი განხორციელებისათვის ზრუნვა. მაგრამ ბევრი საკითხის გადაწყვეტა მარტო ადგილობრივ ხელისუფლებას არ ხელეწოფება და რესპუბლიკური ორგანოების ჩარევასაც საჭიროებს.

ნუღარ დაგაყოვნებთ!

ებრაელებს, სხვა შრავალ კარგ და ტევადი შინაარსის მქონე სიტყვათა შორის აქვთ ასეთი სიტყვაც — „შალომ“, რაც გამარჯობასაც ნიშნავს და მშვიდობასაც. ჩემი ეს მცირე მოცულობის წერილი სწორედ ამ სიტყვით მინდა დავასრულო:

დაე, „შალომ“ ყოფილიყოს მუდამ ჩვენი ძმობის სავალ გზებზე.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ

ᲡᲐᲥᲚᲘᲡᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1989 ᲬᲚᲘᲡ

● ᲒᲠ

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲝᲜᲝ. დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში კანცლერმა კოლმა განაცხადა, რომ 70-იან წლებში მის ქვეყანასა და პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული სასაზღვრო ხელშეკრულებები დღესაც ძალაშია, როგორც ცნობილია, ამ ხელშეკრულებებში დაცულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგენილი საზღვრების ხელშეუვალობა.

მე ვერ ვხედავ დისკუსიის გაგრძელების ვერავითარ საჭიროებას, აღნიშნა კოლმა.

კოლის გამოსვლა გამოწვია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარის ალფრედ დრეგერის მიერ ყოველკვირეულ ჟურნალ „ბუნტესტაგის“ მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულმა აზრმა საზღვრების გაკრეჭვის პოლემიკის გაგრძელებაზე, რომელიც დაიწყო ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ თეოდორ ვაიგელმა. დრეგერმა აღნიშნა „გერმანიის რაიხი, საერთაშორისო სამართლის თანახმად, 1937 წლის საზღვრებში არსებობს“ და „გერმანიის საკითხი ღიად რჩებაო“. შემდეგ დასავლეთგერმანელმა ლიდერმა პრეტენზიები გამოთქვა მდინარე ოდერის აღმოსავლეთით მდებარე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთ ოლქზე.

პოლიტიკური მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მემარჯვენე ფრეგებმა პოლონეთის ამ ოლქის გარშემო დისკუსია გააჩაღეს კანცლერ კოლის პოლონეთში ვიზიტის წინ, რის გამოც ვიზიტი გადახიდეს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგარეო პოლიტიკის ექსპერტმა კარსტენ ფოიგტმა გააკრიტიკა ეს გადაწყვეტილება და კოლს ბრალად წაუყენა, პოზიციებს უთმობსო მემარჯვენე ფრთას. მან ბონის ხელისუფლების მეთაურს მოუწოდა, განაცხადოს, რომ „პოლონეთის დასავლეთის საზღვრები ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც საფრანგეთის აღმოსავლეთი ტერიტორიები“.

ᲓᲐᲐᲠᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

● ᲐᲜᲒᲚᲘᲐ

ლუანდა. ჩაფუშვის საფრთხე ექმნება ანგოლის მთავრობასა და უნიტას დაჯგუფებას შორის ზაირის ქალაქ ბანგოლიტში მიღწეულ მორიგებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ეს განაცხადა მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ანგოლის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. დი კამბუ ვანდუნენმა, აქ ინგლის-ჩინეთის მოლაპარაკების გახსნაზე გამოსვლისას. მინისტრმა აღნიშნა, რომ უნიტამ საბრძოლო მოქმედება გაიაღა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რათა ქვეყანაში ძალით ჩაეგდო ძალაუფლება ხელში. მარტო ამ ბოლო თვეში დაჯგუფებამ მოაწყო რამდენიმე ასეული დივერსიული და ტერიტორიული აქცია ანგოლელი ხალხის წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაიღუპა 300-ზე მეტი კაცი, 500 დაიჭრა.

● ᲛᲐᲚᲓᲘᲕᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ

ᲛᲘᲔᲓᲘᲜᲐᲠᲭᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საკვდილი მიუსაჯეს ექვს უცხოელ დაქირავებულ ჯარისკაცს, რომლებიც გასული წლის ნოემბერში მონაწილეობდნენ მალდივის კუნძულებზე შეჭრაში მალში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს დიპლომატიურ წყაროებს. სააგენტოს მოწმობით, მალდივის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სხდომის დროს კიდევ რვა შრილანკელ დაქირავებულს მიესაჯა სამუდამო გასახლება ინდოეთის ოკეანეში უკაცრიელ კუნძულზე. გადატრიალების ცდის ლიკვიდაციის დროს დატყვევებული კიდევ 54 ლანგკანელიტის ბედი გადაწყდება მომავალ კვირაში.

● ᲐᲤᲠ

ᲙᲚᲘᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲜᲢᲘᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ნიუ-იორკი. „კარგი არაბია მკვდარი არაბი“ — ასეთი ფურცლები გაჩნდა რამდენიმე დღის წინ ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონის ზოგიერთი სახლის კედლებზე. ფურცლებში მოუწოდებენ გაუსწორდნენ არაბული ეროვნების პირებს. ბრუკლინის რამდენიმე უბანში ცხოვრობენ აღმოსავლელნი, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი რელიგია, კულტურა და ადათ-წესები. ახლა ისინი ადგილობრივი სიონისტური ორგანიზაციების ექსტრემისტთა მუქარისა და ცილისწამების ობიექტად იქცნენ. ამ მუქარის საბაბი გახდა ის გარემოება, რომ ლიბანში სიკვდილთ დასაჯეს მძევლად შეპყრობილი ამერიკელი პოდპოლკოვნიკი ჰიგინსი და უარი თქვეს გაათავისუფლონ დანარჩენი, სხვადასხვა დროს შეპყრობილი ამერიკელები.

აქ თავისი როლი შეასრულეს შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რომლებიც ამერიკელებს უნერგავენ გაუკუღმართებულ წარმოდგენას ყველა არაბზე, წარმოსახავენ მათ უმოწყალო ტერორისტებად და თავზეხელაღებულ ფანატიკოსებად, რომლებსაც შეიძლება მხოლოდ ძალის ენაზე ელაპარაკო.

ამ ომახიან მოწოდებებს თავიანთი განცხადებებით ხმას უერთებენ თეთრი სახლის დიდი თანამდებობის პირნი, რომლებიც არაორაზროვნად აცხადებენ, რომ ვაშინგტონი არ გამორიცხავს ტერორისტთა წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას. მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაიმოწმა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლები და განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბუში „ზნად არის გასცეს ბრძანება ჰაერიდან დაბომბონ ობიექტები, რომლებიც ლიბანში მოკალთებულ ტერორისტთა ბუდედ ითვლება, თუ ისინი აღსრულებენ თავიანთ მუქარას და დახოცავენ ამერიკელ მძევლებს“.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

● ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ. ბუენოს-აირესში გამართული მატჩის დროს გულშემატკივართა ყურადღება მიიქცია ერთმა ნახევარმცველმა. ან რა გასაკვირია — არგენტინის ნაკრების ტრადიციულ ცისფერზოლიან მაისურში, ხუთი ნომრით სათამაშო მოედანზე გამოვიდა... ქვეყნის პრეზიდენტი, 59 წლის კარლოს მენემი.

თამაში არ ჰგავდა სხვა სამხრეთამერიკულ საფეხბურთო ბატალიებს, იგი მიმდინარეობდა კორექტულად, მაყურებელთა ტაშით. ისინი ამხნევებდნენ მენემს, რომელმაც მოწინააღმდეგის სამჯერ შეუქმნა კარის ალების რეალური საფრთხე. მატჩის წინადღეს, ადგილობრივი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში მენემმა განაცხადა, რომ ძალიან უყვარს სპორტი. ცნობილია, რომ ფეხბურთის გარდა პრეზიდენტი გატაცებულია ავტოსპორტით.

მატჩის შემოსავალი არგენტინელ ღარიბთა დახმარებას მოხმარდება.

სურათზე: დიეგო მარადონა და კარლოს მენემი ესალმებიან გულშემატკივრებს.

ასოშიეიტედ პრეს-საქრონიკის ფოტო.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა წერილი — „ᲔᲠᲗ ᲩᲐᲒᲔᲓᲘᲗ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ“, რომელიც შეეხება ჩვენი ეროვნული საგანძურის დროებითი გამოფენების ორგანიზაციას ჩვენში და საზღვარგარეთ მისი პოპულარიზაციის მიზნით.

უდავოდ საფუძვლიანია ავტორების (ანა კალანდაძე, რევაზ ჯაფარიძე, ალექსი ჭინჭარაული, ნოდარ ნათაძე, სოლომონ ხუციშვილი) შიში საექსპოზიციოდ შერჩეული ძეგლების ხშირი მოგზაურობის გამო და ის კითხვა, რომელსაც ისინი სვამენ: „განა შეიძლება, თავისი მუდმივი სამყოფელიდან დაძრული ნივთს, თანაც უფრო ხშირად საუკუნოვანი ხნოვანებისას, არაფერი დაუშავდეს, იოტის ოდენადაც არ დაზიანდეს?“.

ყველას კარგად გვესმის დროებითი გამოფენების მნიშვნელობა ჩვენი ხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდისა და ცივილიზებულ სამყაროში მისი სათანადო დაფასებისათვის, მაგრამ ისიც ცხადია და უეჭველი, რომ მუდმივი სამყოფელიდან, მუზეუმებიდან ძეგლების ხშირი დაძვრა ზრდის ახალი გამოფენისათვის ძეგლის არადამაკმაყოფილებელი რესტავრაცია-მომზადების და აქედან გამომდინარე, სერიოზული დაზიანების, ძეგლის დაღუპვისა და მთელი რიგი სხვა აუნაზღაურებელი დანაკლისის ალბათობას.

ეს განგაში უსაფუძვლო და უუფრადღებოდ დასატოვებელი რომ არ არის, ამაში გვარწმუნებს ისიც, რომ მსოფლიოს ბევრი ხელოვნებათმცოდნე და კაცობრიობის კულტურული მონაპოვრების ბევრი ერთგული გულშემატკივარი ასეთ პოზიციას ადგას.

ბელგიის მეცნიერების, ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების სამეფო აკადემიის წევრი, მხატვრული მემკვიდრეობის საშეფო ინსტიტუტის კონსერვაციის განყოფილების გამგე რ. მარეინესენი თავის ნაშრომში „დგვიტოვეთ ბრეიგელი“ სრულიად დაუფარავად წერს იმ დიდ რისკზე, რომელთანაც არის დაკავშირებული ხელოვნების ნიმუშების დიდ მანძილზე მოგზაურობა, აღწერს საკმაოდ საიმედოდ და უსაფრთხოების ყველა ცნობილი მეთოდის გამოყენებით ტრანსპორტირებული ძეგლების სერიოზული დაზიანების უამრავ შემთხვევას.

მიუხედავად იმისა, რომ რ. მარეინესენი დროებითი გამოფენების მოწყობას არსებითად არ ეწინააღმდეგება და ამ საქმეში ბევრ რამეს სასიკეთოსა და სასარგებლოს ხედავს, იგი საბოლოოდ მაინც თვით ხელოვნებისა და მისი შემქმედი ერის ინტერესებიდან გამომდინარე ასკვნის: მეცნიერების უკანასკნელი მნიშვნელოვანი მონაპოვრების გამოყენებაც ვერ აგვაცილებს ტრანსპორტირებისას ძეგლის დაზიანების საშიშროებას, რესტავრაცია კი, რაც უნდა მაღალი დონისა იყოს, მხოლოდ და მხოლოდ მოხერხებულად მორგებული „პროთეზია“ და სხვა არაფერი, და ამდენად, დროებითი გამოფენებით ორიგინალური თარგმანი. გული კი გვეთანაღრება, რომ ერთობ გვიან დაფაზდა ამ დიდებული მთარგმნელის ღვაწლი.

ახლახან, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ბორის გაპონოვის სახელი მიენიჭა, ხალხი იმ სახლს, სადაც ცხოვრობდა და „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა, შემორიალური დაფები გაუკეთდება. გათვალისწინებულია, რომ ეს ღონისძიება საბალხო დღესასწაულით აღინიშნოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეცნიერები, მწერლები, კინემატოგრაფისტები, თეატრალური მოღვაწეები. მრავალთასიან ქუთაისელ ქართველ ებრაელობას (და არა მარტო მათ) დიდი იმედი აქვს, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც.

ბ. გაპონოვისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭება და ქუჩისათვის მისი სახელისდება, მემორიალური დაფების გაკეთება ქართველმა ებრაელებმა მასთან ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ძმობის ნიშნად აღიქვა. არ ვეჭარბებ, თვითმხილველი ვარ და მინდა მოვთქვა საქართველოს ებრაელებმა იცოდეს, რომ ამ კეთილმა აქციებმა ერთიანად შეძრა ქართველ ებრაელთა გული და გონება, სიხარულის ცრემლი მოკვარა და ჩვენდამი სიყვარული გაუორკეცა. ი, სიკეთის ძალა! ხოლო ქართველი ებრაელებისადმი გიდეული არც ერთი სიკეთე არ დაკარგვია ქართველ ხალხს. ეს დაადასტურა წარსულმა, ამას დასტურებს დღევანდელობა. ქართველი ებრაელების ღირსეული საუკუნოვანი თანაცხოვრება ჩვენთან, მათი თვალსაჩინო მოღვაწეობა ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში თუ სხვა ქვეყნებში ამის უტყუარი საბუთია. ორ დროში ერთმანეთისაგან დაცილებულ ფაქტს გავიხსენებდი სახელდახელოდ.

ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში, ჩვენი საუკუნის დამდეგს მოღვაწე იაკობ სეფიაშვილმა ითავა სოფლისათვის მეზობელი მთიდან წყაროს გამოყვანა. ეს წყარო დღესაც მოქმედებს და ოქრონიშის წყაროს ეძახიან. იაკობ სეფიაშვილისავე თაოსნობით და

ᲕᲘᲙᲐᲛᲐᲠᲝᲗ!..

ნალს მაინც აუნაზღაურებელი დაზიანების საფრთხეს ვუქმნით.

ამ კომპეტენტურ სპეციალისტს სულაც არ სურს

არ გატყდეთ, არხოტიონნო!..



ახალს არაფერს ვიტყვი: დღეგანდელი საქართველო მეტად რთულ მდგომარეობაშია. ისედაც ჩაჭრილ-ჩამოჭრილ, განახევრებულ მის ტერიტორიას ახლა შინადგმოგრაფიული დისბალანსი ემუქრება. ამიტომ დღეს ყოველი მტკაცელი ქართული მიწის შენარჩუნება, მასზე ზრუნვა, მოვლა-პატრონობა ჩვენს უპირველეს და უწმინდეს მოვალეობად უნდა მივიჩნიოთ.

აბა, დავინტერესდეთ, რა მდგომარეობაშია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი ულამაზესი, იშვიათი ფლორითა და ფაუნით უმდიდრესი, ჩვენი ჩრდილოეთი საზღვრის გაუტეხელი ფორპოსტი საუკუნეთა მანძილზე — არხოტი — ხოგაის მინდის ლეგენდების საუფლო.

როგორ ცხოვრობს დღეს არხოტი? რა დღეშია აქ ბედად გადარჩენილი სამი სოფელი ამღა, ახიელი, ჭიმღა სულ 12 კომლით?

ამ დღეებში არხოტში იმყოფებოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრები, კომისიის თავმჯდომარის აკადემიკოს თენგიზ ონიანის ხელმძღვანელობით. კომისიის წევრები ადგილზე გაეცნენ საქმის ვითარებას, შეწყდნენ არხოტის მცხოვრებთ, დუშეთის რაიკომის ხელმძღვანელობას. მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამთავრდეს არხოტში მიმავალი გზის სამუშაოები, რომელიც ყაზბეგის ტრასიდან ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე გავლით ასას ხეობას მიუყვება. გზის საბოლოო დამთავრებისათვის საჭიროა ექვსი ბეტონის ხიდის აგება, რამდენიმე ადგილას მდინარის სანაპიროს გადამღობი კედლების აღმართვა. თუ არა, ეს გზა სულ მალე მწყობრიდან გამოვა და არხოტელებს მოესპობათ ერთადერთი კავშირი გარესამყაროსთან...

— გზა ტრანსკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გაჭრა, — თქვა პარტიის რაიკომის დუშეთის პირველმა მდივანმა ნუგზარ ოდიშვილმა, — მადლობის მეტი რა გვეთქმის მისი უფროსის ავთანდილ ჩალაძისადმი! მშენებლებს დაწყებული რკინიგზის სამუშაოების კონსერვაციისათვის გამოყოფილი აქვთ 33 მილიონი მანეთი. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ისინი არხოტის გზის სამუშაოებს ბოლომდე მიიყვანენ. მათვე უნდა გამოიჩინონ დიდი მამულიშვილობა და უზრუნველყონ არხოტამდე ელექტროქსელის გაყვანა, მით უმეტეს, რომ მისი ძირითადი სამუშაოები თითქმის დამთავრებულია.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მხრიდან არხოტში გზის შემოყვანას მრავალი ოპონენტი გამოუჩნდა, განსაკუთრებით — დედაქალაქში თბილად მცხოვრები ხევსურები. ამ საკითხში ურაპატრიოტიზმით არაფერი მოგვარდება.

— თუ ეს გზა და სინათლე არ გვექნა, — ამბობს არხოტელი ხევსური, 11 შვილის მამა ციცია ჯაბუშანური, — ჩვენი აქ დარჩენა უკვე შეუძლებელი გახდება. „ახალგაზრდებ აქ აღარ ჩერდების, ჩვენ როს დრომდილა ვიცოცხლებთ, რად უნდა დაეუკარგოთ არხოტი საქართველოს. ბარშივ, როგორც გავიგ, აღარც კი გაყენებენთ, ე მთას მაინც გაუფრთხილდით, რამდენჯერ გადაარჩინა მთამ საქართველოი... ეს სამანქანე გზა პირდაპირ მისწრებაია ჩვენთვის, ზამთარ-ზაფხულ არ იკეტების... ბარისახოით როშკის გავლით. იცოცხლივ, კარგ იყვ გზის გაჭრაი, მაგრამ ეგ ვერაფერ შეღავათს მოგვცემდა. წელინადში ორ თვეს თუ ივლიდა მანქანაი. აი ეხლ ხომ თიბათვეა, როშკაზე ისევ თოვს"...

მართალი და დამაფიქრებელია ციცქას სიტყვები. უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ კარგახანია არხოტელებს ახალი ბინების აშენებას დაპირდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მაგრამ ჯერ სანუგეშო არაფერია. საქართველოს აგრომშენმა ნელს თითქოს გამონახა სახსრები არხოტელთა ბინების დასაპროექტებლად. ალბათ რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტმა უნდა შეძლოს სათანადო საშუალებების გამონახვა ამ საქმის ბოლომდე მიყვანისათვის.

ერთი რამ კიდევ მაკვირვებს: როდესაც ხევსურები მთიდან ბარში, სამგორში ჩამოასახლეს, მათ აქ გაწყობილი ბინები და გაშენებული ვენახები დაახვედრეს. ახლა, როცა ძალიან გვინდა ბარიდან მთაში კვლავ დაბრუნდნენ ისინი, აღარაფერს ვახვედრებთ. განა ეს სწორია? არხოტში ბარიდან 7-8 ოჯახი აპირებდა ასვლასა და დაფუძნებას, მაგრამ მათ აქ ბინა არათუ დაახვედრეს, მის აშენებაში სერიოზული დახმარებაც არავის აღუთქვამს.

არხოტში ხევსურების დამკვიდრება-გამრავლებისათვის ასევე საჭიროა ამ ტერიტორიაზე აღკვეთილის, ან ბუნებრივი ნაკრძალის შექმნა. ეს ღონისძიება დაიცავდა აქაურ უნიკალურ ბუნებას, მის ბინადარი (ჯიხვი, არჩვი, ნიამორი, შველი და სხვ.). ნაკრძალი დაასაქმებდა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. ნაკრძალის ხელმძღვანელობა გამოიყენებდა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებელთა საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც უფუნქციოდ დარჩენილა და ნადგურდება. ნაკრძალს ექნებოდა ტრაქტორი, ავტომანქანები, რომლებიც მოემსახურებოდნენ გზას, მოსახლეობას. არხოტში იშვიათი ბროლის საბადოებია, ალბათ, მათ სანარმოო ათვისებაზეც უნდა ვიფიქროთ.

არის სხვა მოუგვარებელი საკითხებიც. არხოტს არ ჰყავს დაწყებითი სკოლის პედაგოგი, ექთანი. პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა აღგეთქვა, რომ ამ საქმეს სექტემბრამდე მოაგვარებს. ვნახოთ... როგორც იტყვიან, სექტემბერსაც მოვესწრებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სსრკ სახალხო დეპუტატის პ. მარგველაშვილის ხელმძღვანელობით მოუნახულებიათ არხოტი, რაც უთუოდ მისასალმებელია, მაგრამ მათ უნივერსიტეტის ან პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შორის ერთი ახალგაზრდა რომ მაინც მოენახათ და ჩამოეყვანათ, ეს უკვე საქმე იქნებოდა...

ბიძინა ნანეიშვილი,
სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

„გველეშაპის ქორწინება" გორის სცენაზე

● სეზონის მეორე ნახევარში გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგა ბულგარელი დრამატურგის კლასიკოსის პეტკო ტოდოროვის „გველეშაპის ქორწინება". დადგმა განახორციელა ბულგარელ მოღვაწეთა შემოქმედებითმა ჯგუფმა პეტრე კარაპეტკოვის (დამდგმელი რეჟისორი), პეტია სტოიკოვას (სცენოგრაფი) და კოიჩო კოევის (ნიღბების ავტორი და შემსრულებელი) შემადგენლობით. პრემიერას სხვა სტუმრებთან ერთად ესწრებოდა ბულგარეთის დრამატული თეატრების გენერალური დირექტორი, პროფესორი სევერინა ბიოროვა, რომლის წერილსაც ვთავაზობთ მკითხველებს.

ბულგარული დრამატურგიის კლასიკოსის პეტკო ტოდოროვის პიესა „გველეშაპის ქორწინება" ძირითადად დაფუძნებულია მდიდარ ხალხურ ფოლკლორზე. ლეგენდა გველეშაპზე, რომელსაც შეუყვარდა სოფლის ულამაზესი ქალიშვილი, მრავალ ხალხურ სიმღერაშია გამოყენებული, მაგრამ პიესის ავტორმა ამ ლეგენდას ახლებური ელერადობა მიანიჭა. მისთვის გველეშაპი ხალხის დამთრგუნავი და ულმობელი ძალის გამოხატულება კი არ არის, არამედ საზოგადოებიდან მოკვეთილი მარტოსული არსება, რომელიც ვერ შეეგუა ძველ, პატრიარქალური სოფლის მეშჩანურ ყოფას, სადაც საუკუნეების განმავლობაში არაფერი იცვლება და ადამიანს წართმეული აქვს უფლება უყვარდეს და ცხოვრობდეს საკუთარი ნების მიხედვით.

ამ აზრს ავტორი პიესის დასაწყისშივე მიგვანიშნებს. ახალგაზრდა, ლამაზი და ჭკვიანი გოგონა — ცენა წინ აღუდგება შობლებისა და ძმების სურვილს, რათა მისი ბედი თვითონვე განაგოს. უარს ამბობს მისთხოვდეს ახალგაზრდა ყმაწვილს — დამიანს, რომლის ღირსება მხოლოდ სიმდიდრეა. ცენას სულს უფრო მიუვალ მთებში მცხოვრები გველეშაპი იტაცებს, მისი ძლიერება, დამოუკიდებლობა და ადამიანთადმი უნდობლობა რაღაც უცნაურად აფორიაქებს, მაგრამ ამაზე მეგობრები და ნათესავები კრინტის დაძვრასაც კი უკრძალავენ.

ახალგაზრდა ბულგარელი რეჟისორი პეტრე კარაპეტკოვი ღრმად ჩასწვდა ავტორის ჩანაფიქრს და საინტერესოდ განახორციელა სცენაზე პიესის დაძაბული ატმოსფერო. მშობლები სახლიდან აძევებენ ცენას მიერ მოწვეულ მეგობარ გოგო-ბიჭებს. ისინი ცდილობენ დაიფარონ თავიანთი ქალიშვილი ყოველგვარი ხიფათისაგან, ანუ თვით ცხოვრებისაგან და, აი, მარტო დარჩენილ ცენას თითქოს გველეშაპის ხმა ჩაესმის, რომელიც უხმობს. ახალგაზრდა მსახიობი მაია ტურაშვილი ოსტატურად გადმოსცემს ინტერესსა და უძლურებას მოახლოებული ბედისწერის წინაშე. გამოჩნდება გველეშაპიც — მორის სამნიაშვილი. გველეშაპს არ სჭერა ადამიანებისა და თვით ცენასაც კი. და მხოლოდ მაშინ, როცა კარგად შეიცნობს ქალიშვილის უმანკო ბუნებას, ცდილობს დაიყოლიოს, რომ თან გაჰყვეს.

მხატვარ პეტია სტოიკოვას მიერ გაფორმებულ სცენაზე ბობოლა გლეხის სახლ-კარია. მსახიობი გიორგი ბასიშვილი შესანიშნავად გადმოსცემს, რომ იგია მთელი ამ კარ-მიდამოს ბატონ-პატრონი. მსახიობი ფატი ფულარიანი დრამატული ფერებით ამდიდრებს დედის სახეს. უფროსი ვაჟის როლს ასრულებს მსახიობი ჯემალ ხინჩიკაშვილი. მას თავისი და ისე ეგოისტურად უყვარს, რომ არ უნდა ვინმეს დაუთმოს იგი. მსახიობ თურბენდი რევაზიშვილს საინტერესო ირონიული ტრიხები აქვს მოძებნილი ადამიანის სახის გადმოსაცემად.

მეორე მოქმედება უკვე მთებში ვითარდება. ისმის კომპოზიტორ კრასიმირ კიუკჩიევის უბრალო დურების მაუწყებელი მუსიკა. მხატვარ კოიჩო კოევის შექმნილი სამი ნიღაბი, გველეშაპის სამი თავი, ცეცხლსმფრქვეველი თვალებით, ნელ-ნელა წამოიმართება. გველეშაპი უკვე სხვანაირია, ბედნიერი, მშვიდი, მომღიმარი. ცენას ხის ძირში სძინავს და მთების ბინადარნი მის მყუდროებას დარაჯობენ. ესენი არიან უცნაური, ფანტასტიკური, კეთილი არსებანი. მათი პიესაში შემოყვანა რეჟისორის ერთ-ერთი საუკეთესო მიგნებაა. უცებ შემოდის მარტა — სოფლის ექიმბაში — ჯადოქარი. იგი თურმე კუდიანი დედაბერი კი არ არის, არამედ ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, რომელსაც უყვარს გველეშაპი. მარტას სულში გარდასახვას უბადოლოდ ახორციელებს მსახიობი დარეჯან ჭამაური. ცენა იღვიძებს, იგი შეშინებულია. აღზრდა, რომელიც მთელი ცხოვრება მორჩილებისაკენ მოუწოდებდა, უკან, სოფლისაკენ ეწევა. გველეშაპი არ აკავებს. იგი არც ძალას იყენებს და არც თავის მოხერხებულობას. ძალადობა მისთვის მიუღებელია. ამ ეპიზოდში მაია ტურაშვილის ქმედება დამაჯერებელი, დრამატული, გულწრფელ ნაწყვდომია. ცენა გველეშაპთან რჩება. იგი შორს მოისროს მარტას მიერ ბალახისაგან შეკრებული ჯადოსნური წამალს.

მაგრამ საყოველთაო ზეიმი ხანმოკლეა. ო. კოევის სოფლის ეკუთვნილი ნიღაბი მეორეჯერ ცენას უკან დაბრუნებას. სოფლელები წარსულიდან ცენას ამბავი ეტაკინო, ამბავი შორს ყველაზე შეურიგებელი, მიდის გველეშაპთან, თავს მოაჩვენებს, თითქოს დათრგუნვილია მის ძლიერებას წინაშე და უცებ ხანჯალს შემართავს. ცენა მოასწრებს და გველეშაპს გადაეფარება და... საკუთარი ძმის მიერ განგმირული ძირს ეცემა.

ბულგარეთში იცნობენ ქართულ თეატრსა და დრამატურგიას. ჩვენს თეატრებში არაერთხელ დადგმულა ნოდარ დუმბაძის, ალექსანდრე ჩხაიძის, ოტია იოსელიანის და სხვათა ნაწარმოებები. ჩვენთან გასტროლებზე ყოფილან შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრები, გამოჩენილი რეჟისორების რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი კულტურების გაცნობა და მჭიდრო დაკავშირება ამ სპეციალურ კონტაქტებს გრძელდება. სპეციალური ყოფითი არაა. მისი მიზანი არ იყო მოეთხრო ბულგარეთზე, როგორც ამას ეთნოგრაფიული მუზეუმები აკეთებენ ხოლმე. საერთაშორისო ადამიანებს მოუწოდებს ურთიერთგაგებისაკენ. ეს აღელვებდა პეტკო ტოდოროვს. ჩვენი საუკუნის დასაწყისში, რასაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. პიროვნების სოციალური ადაპტაცია, საზოგადოებაში გამეფებული უდარდელობა, პიროვნების თავისუფლება და მარტოობის ტრაგედია, ეს ის პრობლემებია, რომელთა გააზრება ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია დღესაც.

სევერინა გიოროვა.

გაიხსნა წიგნის მაღაზია

თბილისის ახალ უბანში — დიდ დიღომში თანდათან მრავლდება კულტურის და საყოფაცხოვრებო ობიექტები. ახლახან აქ გაიხსნა წიგნების მაღაზია „დიდგორი", რაც დიდად ეამაგ. წიგნის მოყვარულთ.

სურათზე: მაღაზია „დიდგორის" გამყიდველ მაია ნეფარიძე პატარებს საბავშვო წიგნებს ურჩევს.

მიხეილ კვირიკაშვილის ფოტო.

ლაურეატები

შარშან საზეიმოდ აღინიშნა დიდი ქართველი მკურნალისა და მოაზროვნის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადებიდან 550 წელი და მისი ცნობილი სამედიცინო ტრაქტატის — „წიგნი საქიმოი" — შექმნიდან 500 წელი.

გაითვალისწინა რა „წიგნი საქიმოს" ავტორის ადგილი ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების განვითარებაში, რესპუბლიკის მთავრობამ დაიწესა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის პრემია, რომელსაც საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს პრეზიდიუმი მიანიჭებს ორ წელიწადში ერთხელ საქართველოს სსრ სამეცნიერო კვლევითს და სხვა დაწესებულებაში მომუშავე მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის მედიცინის დარგში და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მუშაკებს იმ მედიკო-სოციალური და ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელებისათვის, რომლის შედეგად მიღწეულია სამედიცინო დახმარების მკვეთრი და საფუძვლიანი გაუმჯობესება.

პრემიები ნაწილდება შემდეგნაირად: თითო პრემია თეორიული მედიცინისა და მედიცინის ისტორიაში, კლინიკურ და ექსპერიმენტულ მედიცინაში და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში.

პრემირებული ნაშრომის ავტორისათვის დაწესებულია ათასი მანეთი და სათანადო მედალი.

წელს მაისში საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომები განხილეს და პრემიებიც გაანაწილეს.

მედიცინის ისტორიის დარგში ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის პრემია მიენიჭა ცნობილ ქართველ მეცნიერს, მედიცინის ისტორიკოს პროფესორ **მიხეილ შენგელიას**, რომლის ნაშრომები და მონოგრაფიები („ქართული მედიცინის ისტორია", „რენესანსი და ძველი ქართული მედიცინა", — „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა", „ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი" და სხვ.) კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. პროფესორ მიხეილ შენგელიას სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე სამედიცინო ინსტიტუტში მედიცინის ისტორიის კათედრის და ქართული მედიცინის ისტორიისა და სამედიცინო ეთნოგრაფიის ლაბორატორიის ჩამოყალიბება, აგრეთვე ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის შექმნა.

კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის დარგში პრემია არაკაძე მიენიჭა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის დარგში პრემია მიენიჭა გამოჩენილ მეცნიერსა და ჯანდაცვის ორგანიზატორს, სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ **გიორგი მარუაშვილს.**

მისი ხელმძღვანელობით და პირადი აქტიური ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის შედეგად საქართველოში პრაქტიკულად ლიკვიდირებულია ან ერთიულ შემთხვევებამდეა დაყვანილი ადრე მასობრივად გავრცელებული დაავადებები — ამებიაზი, ვისცერული და კანის ლეიშმანიოზი და ანკილოსტომიდოზი.

პროფესორ გ. მარუაშვილს, პროფესორს ს. კანდელაკთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე მალარიის ლიკვიდაციაში.

1959-1962 წლებში, როდესაც პროფესორი გ. მარუაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იყო, რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი საორგანიზაციო ღონისძიებანი, განსაკუთრებით პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებით.

ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობა ულოცავს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის პრემიის ლაურეატებს ძიხელი შენგელიას და გიორგი მარუაშვილს მათი მოღვაწეობის ღირსეულ დაფასებას და უსურვებს შემდგომ შემოქმედებითს წარმატებებს.

ბიძინა ნანეიშვილი,
სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სპორტის ამბები

ნეიბინამიერ ქვეყანაში თუ რესპუბლიკაში სპორტის განვითარების დონე (მასობრივ ფიზკულტურას არ ვგულისხმობთ) განიზომება დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მოპოვებული ჯილდოებით. ბევრგან და ჩვენშიაც სპორტის სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ მან განუხრელი ეტაპობრივი განვითარების შედეგად საბოლოოდ კარგი „მოსავალი" უნდა მოგვცეს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, ოლიმპიადებსა თუ სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე მოპოვებული მედლების სახით. გვაქვს საკმაოდ განტოტვილი ბავშვთა სპორტის სტრუქტურა, რომელიც „ჰკვებავს" ჭაბუკთა გუნდებს, მათი წევრები კი, თავიანთი მხრივ, ახალგაზრდული და უფროსი ასაკის გუნდების რიგებს ავსებენ. ე. ი. ამ სამოქმედო უბნების შეთანხმებული მუშაობის პირობებში საკმაოდ ზუსტად შეიძლება იმის განჭვრეტა, თუ რა ძალისა და პოტენციისა იქნება ჩვენი სპორტი, ვთქვათ, ხუთი წლის შემდეგ.

ეს რაც შეეხება თეორიულ მსჯელობას. პრაქტიკული მუშაობა კი ხშირად სულ სხვა შედეგს გვიჩვენებს. საქმე ისაა, რომ ყველა რგოლის მუშაობას ერთიანი, თანამდევი, მზრუნველი ხელი კი არ წარმართავს, არამედ სხვადასხვა უწყებები და ადამიანთა ჯგუფები. ერთნი მოსწავლე სპორტსმენთა მიერ მიღწეულ წარმატებებში იღებენ გასამრჯელოსა და მადლობებს, სხვანი — ჭაბუკთა გუნდების კარგად მომზადებისათვის და ა. შ. აქ მთავარი, რის აღნიშვნაც გვინდა, ისაა, რომ გამორჩენილია პირობები, როდესაც სპორტსმენთა მომზადების დაბალ რგოლს ზედა ასაკობრივი საფეხურის სპორტსმენების შედეგები ისევე სისხლხორცეულად დაიინტერესებდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოსწავლეთა მწვრთნელს შეუძლია შეგიერდს უველაფერი „გამოსწოროს" და შემდგომ მის ბედზე აღარ ინაღვლოს, იგი უკვე სხვის კომპეტენციაში შედისო.

ასე რომ, სასკოლო ასაკში თუ ჭაბუკთა შორის მიღწეული წარმატებები, თუმცა სასიამოვნო კი არის, მაგრამ არ იძლევა დიდი ოპტიმიზმის საფუძველს. სხვა საქმეა „დიდი სპორტის" ზღურბლი — ახალგაზრდული ტურნირები, სადაც იმის ალბათობა, რომ ჩემპიონებს ვეღარ შევინარჩუნებთ, ძალზე მცირეა.

სწორედ ასეთი შეჯიბრება იყო IV საკავშირო ახალგაზრდული ასპარეზობანი, რომლის მონაწილეთა ასაკი ძირითადად 18-21 წლის ფარგლებში მერყეობდა და ზოგიერთ სახეობაში 22-23 წლის სპორტსმენებიც კი ასპარეზობდნენ.

სახეხარულია, რომ საქართველოს კომპლექსური შეჯიბრებები უსწრებდა წინ სპორტის იმ სახეობებში, სადაც შემდგომ კარგად გაუფრთხილდნენ ამ შეჯიბრებების მონაწილეებს, მზრუნველად მოუარეს, სხვებიც წამოიჩიტეს და IV ახალგაზრდული ასპარეზობებისათვის მოამზადეს (ეს ტენდენცია მძლავრობდა ბოლო წლებზე), ცხადია, დიდი წარმატებებიც მოიმკეს. უდავოა, მომავლისაკენ ხედვა — წინსვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სპორტშიც.

მაგრამ გამონაკლისებიც არის... საქართველო ჭარბმოსახლეობიან რესპუბლიკათა რიცხვს არ ეკუთვნის, ვერც აურაცხელი სპორტული რეზერვით დავიტრაბახებთ, ბევრ სახეობაში გვაქვს „თეთრი ლაქები". იყო დისციპლინები, სადაც ჩვენი გუნდის სახელით საიმისათვის, რომ სათანადო მუშაობის პირობებში ახალგაზრდულ ასპარეზობებზეც წარმატება განმეორებულიყო. მაგრამ ის ნიადაგი ფუყე აღმოჩნდა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ გუნდის ძირითად ბირთვს ასაკი ჰქონდა გადაკეთებული, რის გამოც დიდი საკანდალი ატყდა. მწვრთნელებმა ასეთი სათაკილო საქციელი ალბათ იმის მიზეზითაც ჩაიდინეს, რომ დიდი მოთხოვნები ჰქონდათ წაყენებული და ეშინოდათ, ვერ შეახრულებდნენ მას. შეგახსენებთ, 16-17 წლის სპორტსმენთა შეჯიბრებაზე იყო ლაპარაკი.

ცხადია, არავის აქვს იმის ილუზია, რომ სპორტის ყველა სახეობას გავწვდებით, მაგრამ ზოგ დისციპლინაში ჩამორჩენას ხომ უბრალოდ უხეირო მუშაობა განაპირობებს. მრავალი ცდისა და დიდი ხარჯის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მძლეოსნობისა და ცურვის ფეზზე დაყენება. ახალგაზრდულ ასპარეზობებზე ცუდად გამოვეფიეთ სხვა დისციპლინებშიც: ნიჩბოსნობაში, ძალოსნობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ფრენბურთში, სასტენდო სროლაში...

ისე კი, არავის ეგონოს, რომ უკრაინის ქალაქებში მიმდინარე ტურნირები სანიმუშო შეჯიბრებების განსახიერება ყოფილიყოს. მას ნათლად ეტყობოდა ჩვენი ახლანდელი ცხოვრების ყველა ნიშან-თვისება. ადგილი ჰქონდა მოუმზადებელი სპორტული ბაზების გამოყენებას, ორგანიზაციულ უწესრიგობას, მიკერძოებას, „ჩაწყობას", დოპინგის მიღებას (ალბათ ბევრი შეძრა „სოვეტსკი სპორტის" პირველი ავგისტოს ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა: სწორედ დოპინგის გამოყენების შესახებ IV ახალგაზრდულ ასპარეზობებზე). აჰა-იქ ჩვენი რესპუბლიკის მიმართ დარბეული უსამართლო ხმები სპორტშიც პოულობდა გამძაფხილს და ა. შ. თუმცა ბევრგან საინტერესო ასპარეზობის ხილვაც შეიძლებოდა.

მათგან ერთ-ერთი უპირველესი იყო ძიუდოისტთა ტურნირი, სადაც საქართველოს წარმომადგენლებმა, რესპუბლიკისა და თბილისის ნაკრებმა გუნდებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს — 12 მედალი დაიპაკუთრეს. კომონიანი ქართველი ფალავანი ყველგან ყურადღების ცენტრშია და მისგან, ზოგი იმედითა და ზოგიც — შიშით, გამარჯვებას მოელის.

მოკადრაკე გოგონებმა, ჩვენმა ტრადიციულმა ფავორიტებმა, ამჯერადაც გვასახელეს და ძიუდოისტების გარდა, მხოლოდ მათ მოიპოვეს გუნდური პირველობა. შესანიშნავად გამოვიდნენ, როგორც აღვნიშნეთ, მოისარი გოგონები, ჩვენი სინქრონული მოცურავეები (ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი, II ადგილი გუნდურ პირველობაში), ბატუტუზე მხტომელები (II ადგილი) ყველმოთხილამურეები (ორი ოქროს მედალი, III ადგილი), აკრობატები (ოთხი მედალი)... ჩვენმა მოჭიდავეებმაც შეიტანეს თავიანთი ლომის წილი მედლების საერთო ულანაში. ჩვენში მეტად პოპულარულ ფეხბურთში III საპრიზო ადგილი დავიკავეთ, მაგრამ აშკარა იყო, რომ ჩვენს ფეხბურთელებს მეტი შეეძლოთ. თუმცა ამის მტკიცება მათი პოტენციალის შეფასებაცაა.

ასპარეზობებზე ყველას გასაგონად გაიხმიანა ნინო სალუქვაძის, ქეთევან არახამიას, ლეილა მეცხის, ხრისტინა ფალასანდის, ამირან ტოტიკაშვილის და საქართველოს სხვა, უკვე ცნობილი სპორტსმენების სახელებმა, როგორც ყოველთვის, ხანდახან ისევ დავასახელოთ ისეთი სპეციალისტები, როგორებიც არიან იური გუტიაკულოვი, ვახტანგ სალუქვაძე, თენგიზ ხუდოევი, შოთა ხაბარელი, თეიმურაზ კაკულია, ომარ მერაბიშვილი და სხვები. ასპარეზობებზე მოპოვებული წარმატებები ხომ მათი შრომის ნაყოფია.

ერთ საგაზეთო წერილში ასეთი დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობების ყველა ასპექტს ვერ მიმოვიხილავთ. ამიტომ საერთო შეფასებას შევეცდებით: ზემოთ ჩამოთვლილი მოპოვებული წარმატებები გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდული ასპარეზობების მონაწილეები არა მარტო ხვალინდელი დღეა ჩვენი სპორტისა, არამედ ბევრი უკვე გარეულია „ოლიმპში". სეულის ოლიმპიადის წარმატებების შემდეგ იმედი მომავალი ოლიმპიადისაკენ მიგვუვება, მიგვუვება მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ჩვენს ქვეყნაში, სპორტში ბევრი და ძნელი პრობლემა დაგროვდა. ახლანდელი სიიმედო პერსპექტივა, რომელიც IV ახალგაზრდულ ასპარეზობებზე გამოჩნდა, ჩვენი სპორტსმენების, ჩვენი სპეციალისტების პოტენციალის მაჩვენებელია, რომლის გონივრულად გამოყენებით (ამისათვის, ვგონებ, იხსნება გზები) სპორტში კიდევ უფრო დიდ სიმაღლეს უნდა მივაღწიოთ.

გივი ზედგინიძე.

დიანა დარჩია ძლიერესია

ერთი ტურიც და, პუერტორიკოში დასრულდება ზოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატები. მიუხედავად ამისა, ორი ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილია. 12-წლიან გოგონებს შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ერთი ტურით ადრე დაეუფლა ბათუმელი **დიანა დარჩია.** მან მთელი შეჯიბრება წარმატებით განვლო და სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ გულითადად მივულოცოთ ბათუმელ გოგონას შთამბეჭდავი წარმატება. მეორე ჩემპიონისა კავკასიელია: 18-წლიან ჭაბუკთა შორის თავი ისახელა მოძმე სომხეთის წარმომადგენელმა, ეროვნელმა მოჭადრაკემ ვლადიმერ აკოფიანმა.

ბოლო ტურის წინ 16-წლიან გოგონებს შორის პოლონელ დობროვსკაიას 10 შესაძლებლობიდან 9 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება თბილისელი თეა ლანჩავა, 8-8 ქულით კი მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ ქუთაისელი სოფიკო ნიკოლაძე და ბულგარელი მაია კოუენი.

ბოლო ტურის შეხვედრები დღეს გაიმართება.



დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარსა და მთაში 30-35, ზღვისპირეთში 26-31, მაღალმთიანეთში 21-26 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 32-37, მთაში 28-33, მაღალმთიანეთში 23-28 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა — 34-36 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია—ოთხშაბათი, 9 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — საერთაშორისო დღიური (გამეორება). 16.35 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარი". მხატვრული ფილმი „პილიგრიმის კაპიტანი". 18.10 — მოსწავლეთათვის. „მშობლიურ მხარეში". 18.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სახალხო არტისტი". 19.00 — სტუდია-დიალოგი (ალტერნატიული გადაცემა) 20.00 — მოამბე. 20.35 — კონცერტი. 21.30 — საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის (სტუდიაშია სახალხო დეპუტატი ვ. ადვაძე). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „კინოს სამყაროში".

მეორე პროგრამა. 16.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო". 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „კურიერი". 22.00 — „ვრემია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — „რას უმღერიან დედამიწელი ბავშვები". 10.25 — „რვაფეხა". III სერია. 11.25 — აშკარა — დაუჯერებელი. 12.25 — თოჯინების თეატრის სამყარო. მე-3 გადაცემა. 13.15 — „ცისარტყელა".